ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით -ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 06

დ.ლენტეხი 24.09.2024 წ

2024 წლის 24 სექტემბერს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები :გიორგი გაზდელიანი,დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი,ირაკლი ქურასბედიანი,ზურაბ ონიანი,მოწვეული სპეციალისტი ამირან ლიპარტელიანი და კომისიის მდივანი თეა ქურდიანი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სოფ. ლეუშერში მცხოვრებ ინგა ხაჭვანის განცხადების განხილვა.
   /მომხს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტირის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/
2. **დ. ლენტეხში 16 - ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადების განხილვა.**
   /მომხს: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტირის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი/

1. მოისმინეს : კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა, რომ კომისიას დაგვეწერა სოფ. ლეუშერში მცხოვრები ინგა ხაჭვანის განცხადება.განცხადების თანახმად მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს ეზოში მოწყობილია მაღალი ძაბვის ელექტრო სისტემა. სადენები ეხება ეზოში არსებულ კაკლის ხეებს, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი წვიმებისა და ჭექაქუხილის დროს საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლეს.
   ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა აღნიშნული საკითხი.წარმოდგენილია შესაბამისი ფოტო მასალა.კომისიის წევრებმა აღნიშნეს,რომ მდგომარეობა მეტად საგანგაშოა და საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას ენერგო კომპანიის მხრიდან,რათა თავიდან იქნას აცილებული ლეტალური შედეგები.
   კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: ეთხოვოს სახელმწიფო რწმუნებულს ადმინისტრაციულ- ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის,ლენტეხის,ონის,ცაგერის მუნიციპალიტეტში) ბატონ პარმენ მარგველიძეს შუამდგომლობის გაწევა შესაბამის უწყებებთნ, რათა დროულად გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

2. მოისმინეს:კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა აღნიშნა,რომკომისიას განსახილველად დაგვეწერა დ. ლენტეხში 16 ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება.განცხადების თანახმად 16 ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლები ითხოვენ საცხოვრებელი კორპუსის ირგვლივ საწრეტი არხის გაკეთებას.კორპუსის მდგომარეობიდან გამომდინარე წვიმის წყალს გასასვლელი არსად არ აქვს და ჩადის პადვლებში,საძირკველი უკვე ჩამოშლაზეა და მოსახლეობას ექმნება საშიშროება. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა განცხადებაში აღნიშნული საკითხი და ადასტურებს იმ რეალობას,რომ კორპუსს ნამდვილად ემუქრება საძირკველის ჩამოშლა და საჭიროებს კორპუსის ირგვლის საწრეტი არხის გაკეთებას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს ამ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: შუამდგომლობა გაეწიოს 16 ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერთან, რათა აღნიშნული პრობლემა გათვალისწინებულ იქნას 2025 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97242692**
თარიღი: **25/09/2024**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24 სექტემბერს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.სხდომაზე განხილულ იქნა მოქალაქეების განცხადებები.მათ შორის 16 ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება. განცხადების თანახმად 16 ბინიანი კორპუსის მაცხოვრებლები ითხოვენ საცხოვრებელი კორპუსის ირგვლივ საწრეტი არხის გაკეთებას.

კორპუსის მდგომარეობიდან გამომდინარე წვიმის წყალს გასასვლელი არსად არ აქვს და ჩადის პადვლებში, საძირკველი უკვე ჩამოშლაზეა და მოსახლეობას ექმნება საშიშროება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ ადგილზე მისვლით შეისწავლა განცხადებაში აღნიშნული საკითხი და ადასტურებს იმ რეალობას,რომ კორპუსს ნამდვილად ემუქრება საძირკველის ჩამოშლა და აუცილებელია კორპუსის ირგვლივ ბეტონის არხის გაკეთება.

გთხოვთ,აღნიშნული პრობლემა გაითვალისწინოთ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი